

2013 წელი, 28 თებერვალი - 6 მარტი



ფასი 1 ლარი 30 თეთრი

# ახალი ტანათლება

№7 (601) ბაშოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

1852 წლის 7 მარტს,  
გიორგი ერისთავის რედაქტორობით,  
გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“  
პირველი ნომერი




როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის  
**ბიოლოგია**

გვერდი 3-5

კლასიკური პროზის სამტომეული

~~21 ლარი~~

1 მარტიდან - 15 ლარი



**წიგნის  
თარო**



გთავაზობთ ტექსტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში,  
რომელიც ითვისებისთვის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს



წიგნი I – **ქველი ქართული მწერლობა**;  
წიგნი II – **„ვეფხისტყაოსანი“**;  
წიგნი III – **XIX საუკუნის მწერლობა**.

ავტორები:  
თამარ ბელიტაშვილი,  
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი - 10 ლარი

- ◆ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- ◆ მათი მეშვეობით გაზიარდებოდათ საკომპარატიო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ◆ სწორი პასუხების შემოსაზრის შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- ◆ თქვენ შექვებთ დაქლით ყველა საგამოცდო სირთულა.


კრებულების შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83



CMYK

კონკურსი

„გაიბე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“



2012 წლის ნოემბერში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, გაზეთ „ახალი განათლება“ რედაქციასთან ერთად, გამოაცხადა კონკურსი საქართველოს სკოლების მოსწავლეებისათვის – „გაიბე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ასზე მეტმა საჯარო და კერძო სკოლამ. ექსპერტებმა განიხილეს ნამუშევრები. შიშველების შედეგად შეირჩა ათი სკოლის საუკეთესო ოცი თემა.

გთავაზობთ საუკეთესო თემების ჩამონათვალს:



- 1. ყვარლის რაიონი, სოფელ ახალსოფლის №2 საჯარო სკოლა (დირექტორი - მალხაზ ცერცვაძე, პედაგოგი - მარინე ტუპიშვილი) „უღიწურს სამზარეულო“, „სიმინდის ხარშვა“ მოსწავლეები: ეთერ მოსულიშვილი, გიან ცერცვაძე, გულინა ხუციშვილი, თინა ხვედელიძე, ემზარ ჭაბავიძე, ჯემალ სხირტლაძე.
- 2. აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის საჯარო სკოლა (დირექტორი - გიან მიხეილაძე, პედაგოგი - ელენე ნორა ჩიქოვანი) „რძის დაგროვების ტექნოლოგია“ მოსწავლე - თინათინ მიხეილაძე
- 3. ასპინძის რაიონის სოფელ ნაძალაძის საჯარო სკოლა (დირექტორი - გიორგი კახეიძე, პედაგოგი - ეთერ ჯვარიძე) „პურის არყის დამზადების ტექნოლოგია“ მოსწავლე - ნინო ოთარაძე
- 4. ლენტეხის №2 საჯარო სკოლა (დირექტორი - მამია ლაგაძე, პედაგოგი - თინა გაგაძე)

- „ლივინანალი - ლილგენალი“ მოსწავლე - პაატა ლიპარაძე
- 5. მცხეთის რაიონის სოფელ ნაწილის საჯარო სკოლა (დირექტორი - ლალი დიმიტროვი, პედაგოგი - ნადია გუჩუაძე) „ჭონა“ მოსწავლე - მარიამ კახუაშვილი
- 6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველების საჯარო სკოლა (დირექტორი - კატუა გომბაძე, პედაგოგი - ეკატერინე ჭიჭინაძე) „მასაქონლეობის დამატებითი რიტუალები“ მოსწავლეები: თამარ ვაჩაძე, ძრისტინე ჭიჭინაძე, გოჩა ნუშარიძე
- 7. ოზურგეთის №3 საჯარო სკოლა (დირექტორი - ნანა გაბაძე, პედაგოგი - მზია შვეპარდიაძე) „ბატონაბი“, „პალანდოვა“ მოსწავლეები: ძრისტინე გომბაძე, ფიქრია ჩხაიძე
- 8. ბაღრი გარანდის სხელმწიფის ქ. ქობულეთის №6 საჯარო სკოლა (დირექტორი - ნათო შამილაშვილი, პედაგოგი - მზია შვეპარდიაძე)

- დაბოგი - მზია ჩიქვაძე) „სამონღონო ტრადიცია - საღილის მიტანა აჭარაში“ მოსწავლე - თამარ უღრელიძე
- 9. მესტიის რაიონის ფარის საჯარო სკოლა (დირექტორი - გულუ ვიგლიანი, პედაგოგი - ეკა წულუკიძე) „გარდაცვალება და გასვენება“, „სულთა ხსენების დღე ანუ ლივანა“, „ძრისტი ლივანა“, „სპანური სამართალი“, „ახალი წელი ანუ კანდა“, „ეპიფანია და სამკურნალო საშუალებები“, „ლაპროვა“, „ოქროს მოკვება“, „მატყლის დამუშავება და მისი ყოფაცხოვრებაში გამოყენება“ მოსწავლეები: იან ვიგლიანი, ნიკა ჩხეიანი, მარიამ დადუშელიანი, ზაზა კვიციანი, სალომე რეზინიძე, მარი რეზინიძე, სოფიო წულუკიანი, დათა ნარსავიძე, ლალი წულუკიანი
- 10. მარტვილის მუნიციპალიტეტის სალწინოს საჯარო სკოლა (დირექტორი - ნუნუ სილაგაძე, პედაგოგი - ნინო ცაავა) „შელოცვა“ მოსწავლე - თინა ბასილიანი

ინფორმაცია

კერძო კოლეჯების ფორუმი გაიხატა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში „საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის (სკკა)“ მიერ ორგანიზებულ კერძო კოლეჯების ფორუმს დაესწრო. ფორუმში მონაწილე კოლეჯების წარმომადგენლებმა ერთმანეთს პროფესიული განათლების შესახებ თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს, იმსჯელეს პრობლემების გადაჭრის ერთობლივ გზებსა და სტრატეგიული განვითარების ეფექტურ მეთოდებზე. ფორუმში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ელენე ჯობლაძე, საკონსულტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ინგა კიკვაძე, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მისხელი კორძაია, ჰამბურგის უნივერსიტეტის ასოციაციის პრეზიდენტი იენს გერტნერი, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი კახაბერ ერადე, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მია ჩიხლაძე, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს წევრი ეკა ლუაშვილი.

სისხლის უანგარო დონაციის აქცია სამინისტროში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის მიერ ორგანიზებულ აქციაში ჩაერთნენ, უანგაროდ ჩააბარეს სისხლი და ამით გამოხატეს თანადგომა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ. ანალოგიურ აქციებში სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულება თუ ორგანიზაცია. ჯანმრთელი პოპულაციიდან სისხლის დონორების შერჩევას, დონაციის ჩატარებას, სისხლისა და სისხლის კომპონენტების დამზადებას სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური ახორციელებს.

ლეს. აქვე ხდება დონორული სისხლის აპრობაცია, დამზადებული სისხლის კომპონენტების ხარისხის კონტროლი, შენახვა და სამკურნალო დანესებულებების უსაფრთხო სისხლის კომპონენტებით უზრუნველყოფა 24-საათიან რეჟიმში.

პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ 119 მონაწილეს, რომლებმაც ორი სასწავლო სემესტრი წარმატებით დაასრულეს, სერტიფიკატები გადასცა. სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი არაქართულენოვანი მოსახლეობის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებს პროგრამას „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. პროგრამა ითვალისწინებს ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტების გაგზავნას სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში. პროგრამის მონაწილეები ქართული ენის ადგილობრივ მასწავლებლებს სააკვეთილო პროცესის წარმართვაში ეხმარებიან, პროცესი მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებას. კონსულტანტ-მასწავლებლები ადგილობრივ ოჯახებში ცხოვრობენ, რაც ხელს უწყობს როგორც მოსწავლეების, ისე ადგილობრივი მოსახლეობის ქართული ენის ფლობის დონის გაუმჯობესებას. პროგრამის მონაწილე მასწავლებლები ადგილობრივ პედაგოგებს სააკვეთილო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაში ეხმარებიან. 2011-2012 წლებში, პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში, შეიქმნა ქართულის, როგორც მეორე ენის, I-VI დონის სახელმძღვანელო, რომელსაც თან ახლავს მოსწავლის რეგული და მოსასმენი მასალა (CD). ამ ეტაპზე შექმნილია და ბეჭდვის პროცესშია VII-IX დონეები. პროგრამაში, ორი სასწავლო სემესტრის მანძილზე, წარმატებით მონაწილეობის შემთხვევაში, პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილეებს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობის დაფინანსებით უზრუნველყოფს. ამ ეტაპზე, პროგრამის ფარგლებში, 300-მდე პედაგოგია

გაგზავნილი ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში. ყველა მონაწილემ, რეგიონში გამგზავრებამდე, გაიარა ათდღიანი ინტენსიური ტრენინგი ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდოლოგიაში, სწავლისა და განვითარების თანამედროვე მეთოდებში და კულტურულ მრავალფეროვნებასა და თანაცხოვრებაში.

ინკლუზიური განათლების გზამკვლევი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children) ხელშეწყობით, გამოსცა გზამკვლევი მასწავლებლებისათვის „ინკლუზიური განათლება - სპორტი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის“. გზამკვლევი გაეროს ბავშვთა ფონდისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის „სპორტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის“ ფარგლებში შეიქმნა. აღნიშნული პროექტი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს. გზამკვლევი საუბარია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სპორტის გაკვეთილებში ჩართვის პროცესზე, სასწავლო სტრატეგიებზე, სპორტის მასწავლებლის როლსა და პასუხისმგებლობაზე. ცალკე თავად არის გამოყოფილი ადაპტირებული სპორტის საკითხები და ის მოძრავი თამაშები, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შეიქმნა. ნიგნს კონკრეტული შემთხვევების განხილვა და მცირე ტერმინოლოგიური ლექსიკონი ერთვის. პუბლიკაცია საქართველოს ყველა სკოლას საჩუქრად გადაეცემა. ლონისძიებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსი ნათია ჯობაძე, გაეროს ბავშვთა ფონდის, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, არასამთავრობო ორგანიზაციების, თბილისის საჯარო სკოლების წარმომადგენლები დაესწრნენ.



ბიოლოგია

როგორ მოვემზადოთ 2013 წლის ართიანი ეროვნული გამოსვლისათვის

შესავალი

ბიოლოგიის საგამოცდო ტესტი დაეფუძნება სასკოლო კურსის იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც საგამოცდო პროგრამაშია წარმოდგენილი. გამომცდისათვის მოსამზადებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ გამომცდის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული კრებულებით. იმავე გვაქვს, რომ კრებული დაგეგმარებამთ უკეთ მოვემზადოთ ბიოლოგიის გამომცდისათვის.

ართიანი ეროვნული გამომცდის მეთოდები ბიოლოგიაში

გამომცდაზე აპრობირების მეთოდები

საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ფაქტობრივი მასალის ცოდნა. ამ ცოდნაზე დაყრდნობით ბუნებაში მიმდინარე არსებითი პროცესების დახასიათება და ანალიზი.

გრაფიკებიდან, სქემებიდან, ცხრილებიდან და დიაგრამებიდან საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება მოცემული ამოცანის გადასაჭრელად.

საგამოცდო ტესტით მონაწილეობა

საპროგრამო მასალის ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებში ამ ცოდნის გამოყენების უნარი.

გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მონაწილეობის ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი.

მოცემული ამოცანის პირობებიდან არსებითი (პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი) მონაცემების შერჩევის უნარი.

ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, უცნობი, არასტანდარტული ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნის უნარი.

ტესტის დავალებათა ტიპების აღწერა

დავალბების I ტიპი - რამდენიმე სავარაუდო ვარიანტიდან ერთადერთი სწორი პასუხის არჩევა (ე.წ. არჩევითი პასუხიანი ტესტური დავალება).

დავალბების აღწერა და ინსტრუქცია - დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. აბიტურიენტმა უნდა აირჩიოს სწორი პასუხი და პასუხების ფურცელში აღნიშნოს შესაბამისი უჯრა.

დავალბების II ტიპი - შესაბამისობის პოვნა. აბიტურიენტმა უნდა იპოვოს შესაბამისობა ცხრილის სახით წარმოდგენილ ორ ჩამონათვალში მოცემულ მოვლენათა ან ობიექტთა შორის. პასუხის ჩანერის ფორმა დაწვრილებით იქნება აღწერილი თითოეულ დავალებაში.

დავალბების III ტიპი - ტერმინების ჩამონათვალთან სწორი ვარიანტის შერჩევა. დავალბების აღწერა და ინსტრუქცია - მოცემულია ტექსტი, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები და იქვეა ტერმინების ჩამონათვალი. აბიტურიენტს ევალება, თითოეულ გამოტოვებულ ადგილს, რომელსაც ცხრილში ლათინური ასო შეესაბამება (T, X, Y, Z), მოუძებნოს აზრობრივად შესაბამისი ტერმინი და მხოლოდ მისი ნომერი ჩანერის ცხრილში.

დავალბების IV ტიპი - ცხრილის შევსება. დავალბების აღწერა და ინსტრუქცია - მოცემულია პროცესების ან მოვლენების ჩამონათვალი. აბიტურიენტის ამოცანაა დააღვას იხინი სწორი თანმიმდევრობით და მათი შესაბამისი ციფრები ჩანერის ცხრილში.

დავალბების V ტიპი - მოცემული ამოცანის ამოხსნა (ე.წ. ღია ტესტური დავალება). დავალბების აღწერა და ინსტრუქცია - დავალებაში მოცემულია ამოცანის პირობა და დასმულია რამდენიმე კითხვა. თითოეულ კითხვას შეესაბამება ერთი სწორი პასუხი. აბიტურიენტმა უნდა მიიღოს სწორი პასუხი და იმავდროულად ნათლად უნდა წარმოადგინოს პასუხის მიღების გზა.

ბიოლოგიის საგამოცდო პროგრამა

ყურადღება: ბიოლოგიის საგამოცდო პროგრამა განსხვავდება წინა წლების პროგრამისაგან. საგამოცდო პროგრამის შესაბამისად შეცვლილია საკითხთა კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ტესტური დავალებები შედგენილი იქნება ამ ჩამონათვალში აღნიშნული სასწავლო წლის შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით!

Table with 3 columns: საკითხთა ჩამონათვალი, საკითხთა დაზუსტება, კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. Rows include 1. სიცოცხლის ძირითადი ნიშნები, 2. ცოცხალი სისტემის ორგანიზაციის დონეები, 3. უჯრედი, 3.1 ეუკარიოტული და პროკარიოტული უჯრედების სტრუქტურული კომპონენტები.


Table with 3 columns: საკითხი, აღწერა, პუნტი. Rows include 3.2 სიცოცხლის არა-უჯრედული ფორმები, 3.3 უჯრედის ქიმიური შედგენილობა, 3.4 ნივთიერებათა ცვლა უჯრედში, 3.5 უჯრედის გაყოფა, 4. ადამიანი, 4.1 საყრდენ-მომძრავებელი სისტემა, 4.2 საჭმლის მომწელებელი სისტემა, 4.3 სასუნთქი სისტემა, 4.4 სისხლი, 4.5 სისხლის მიმოქცევის სისტემა, 4.6 გამომყოფი სისტემა, 4.7 ენდოკრინული სისტემა, 4.8 ნერვული სისტემა, 4.9 შეგრძნების ორგანოები, 5. მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა, 5.1 მენდელის კანონები, 5.2 ალელურ და არალელურ გენთა ურთიერთქმედება, 5.3 მორგანის კანონი, 5.4 სქესის გენეტიკა, 5.5 ადამიანის გენეტიკა, 5.6 ცვალებადობა, 6. ეკოლოგია, 6.1 ეკოლოგიური სისტემა.

2012 წლის საგამოცდო პარიანტი

ინსტრუქცია დავალებებისათვის 1 - 54

დავლებში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი, ნომრის ქვემოთ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება და დასვით ნომერი X ამ უჯრაში.


- 1. რომელი ფუნქცია დაირღვევა ადამიანის თავის ტვინის ქერქის კუფის წილის დაზიანებისას?
ა) ყნოსვის ბ) გემოს გ) სმენის დ) მხედველობის
მომდევნო სამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად იხელმძღვანელეთ ქვემოთ მოცემული დავალების პირობით:
სავანაში ზოგიერთი ფრინველი კენკავს ძუძუმწოვრის კანზე მიმაგრებულ ტკიპებს. როგორი ბიოტური ურთიერთდამოკიდებულებაა:
2. ტკიპასა და ძუძუმწოვარს შორის?
ა) პარაზიტიზმი ბ) სიმბიოზი გ) მტაცებლობა დ) ნეიტრალიზმი
3. ფრინველსა და ტკიპას შორის?
ა) პარაზიტიზმი ბ) ნეიტრალიზმი გ) სიმბიოზი დ) მტაცებლობა
4. ფრინველსა და ძუძუმწოვარს შორის?
ა) ნეიტრალიზმი ბ) სიმბიოზი გ) მტაცებლობა დ) პარაზიტიზმი
5. რომელ ქსოვილში ხდება ქიმიური ენერჯის მექანიკურ და სითბურ ენერჯიად გარდაქმნა?
ა) კუნთოვანი ბ) ნერვული გ) ეპითელიური დ) შემაერთებელი
6. მიტოზური გაყოფის რომელ ფაზაში ემაგრება თითისტარას ძაფები ცენტრომერებს?
ა) ტელოფაზაში ბ) პროფაზაში გ) ანაფაზაში დ) მეტაფაზაში
7. ჩამოთვლილთაგან რომელი ორგანოიდია შემოსაზღვრული ერთი მემბრანით?
ა) მიტოქონდრია ბ) პლასტიდი გ) ლიზოსომა დ) რიბოსომა
8. ჩამოთვლილთაგან რომელია ფერმენტი?
ა) კოლაგენი ბ) ჰემოგლობინი გ) კერატინი დ) პეფსინი
9. ჩამოთვლილთაგან რომელია პროკარიოტი?
ა) ტუბერკულოზის ჩხირი ბ) გრიპის ვირუსი
გ) მწვანე ევგლენა დ) დიზენტერიული ამება
10. წარმოდგენილი შეჯვარების სქემით განსაზღვრეთ მშობლების გენოტიპები:



- ა) AaBb და AaBB ბ) AABb და AABb გ) AaBb და AABb დ) AAbb და aaBB
11. ჩამოთვლილთაგან რომელ ფაზაში მოქმედებენ გენები აქტიურად?
ა) ინტერფაზაში ბ) ანაფაზაში გ) მეტაფაზაში დ) ტელოფაზაში
12. როგორი გენოტიპის მშობლების შეჯვარებით მივიღებთ სურათზე მოცემულ დათიშვას?




- ა) AA x Aa ბ) Aa x Aa გ) Aa x aa დ) AA x aa
13. რა შემთხვევაში შეიძლება ეყოლოთ A და B ჯგუფის სისხლის მქონე მშობლებს შვილი, O ჯგუფის სისხლით?
ა) დედა - A ჯგუფის ჰომოზიგოტი, მამა - B ჯგუფის ჰეტეროზიგოტი
ბ) დედა - B ჯგუფის ჰეტეროზიგოტი, მამა - A ჯგუფის ჰომოზიგოტი
გ) დედა - B ჯგუფის ჰომოზიგოტი, მამა - A ჯგუფის ჰეტეროზიგოტი
დ) დედა - A ჯგუფის ჰეტეროზიგოტი, მამა - B ჯგუფის ჰეტეროზიგოტი
14. ჩამოთვლილთაგან მრავალბრინი ეპითელიუმითაა აგებული:
ა) ფილტვის ბუშტუკი ბ) ეპიდერმისი
გ) თირკმლის კაფსულა დ) წვრილი ნაწლავის კედელი
15. ბოცვერში ბალნის შეფერილობა (თეთრი და შავი) და ზომა (გრძელი და მოკლე) მემკვიდრული ნიშნებია. სქემაზე მოცემული დათიშვის მიხედვით განსაზღვრეთ მშობლების გენოტიპები.




- ა) AaBb და aaab ბ) AABb და aaab გ) AaBB და aaab დ) AABB და aaab
16. ლეიკოციტების რომელი ორგანოიდი მონაწილეობს ორგანიზმისათვის უცხო სხეულების მონელებაში?
ა) გოლჯის აპარატი ბ) მიტოქონდრია
გ) ლიზოსომა დ) ენდოპლაზმური ბადე
17. ჩამოთვლილთაგან პირველად რომელ ორგანოში გაივლის ნაწლავებიდან გამოსული სისხლი?
ა) ღვიძლი ბ) თირკმელი გ) ფილტვი დ) ელენთაში
18. ჩამოთვლილთაგან პოლისაქარიდებს მიეკუთვნება:
ა) სახამებელი და ფრუქტოზა ბ) გლუკოზა და ცელულოზა
გ) გლუკოზა და ფრუქტოზა დ) სახამებელი და ცელულოზა
19. ჩამოთვლილთაგან რომელს არ შეუძლია დამოუკიდებლად ცილის სინთეზი?
ა) ბაქტერიას ბ) ვირუსს გ) ციანობაქტერიას დ) წყალმცენარეს
20. ქათმებში შავი შეფერილობა დომინირებს ყავისფერზე. განსაზღვრეთ, როგორი შეიძლება იყოს მშობლების გენოტიპი, თუ ცნობილია, რომ 40 წინილიდან 22 შავია, დანარჩენი კი - ყავისფერი.
ა) AA x Aa ბ) AA x aa გ) Aa x Aa დ) Aa x aa

- 21. ჩამოთვლილთაგან რომელი ჯირკვლის მიერ გამოყოფილი ნენი შეიცავს ცილის დამმულ ფერმენტებს?
ა) ღვიძლის ბ) პანკრეასის
გ) ყბა-ყურის ჯირკვლის დ) ენისქვეშა ჯირკვლის
22. რა ნივთიერებებია აგებული რიბოსომის სუბერთეულები?
I - ცილა II - რ-რნმ III - ი-რნმ
ა) მხოლოდ I და II ბ) მხოლოდ II და III
გ) მხოლოდ I და III დ) I, II და III
23. ჩამოთვლილთაგან რომელი მონაწილეობს გულმკერდის ღრუს მოცულობის ცვლილებაში მშვიდი სუნთქვის დროს?
I - დიაფრაგმა II - ნეკნათაშუა კუნთები III - ზურგის კუნთები
ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ II გ) I და II დ) I, II და III
24. საზამთროში ნაყოფის ფორმა და ქერქის ზოლიანობა მემკვიდრული ნიშნებია. სურათზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ F2 თაობის ჰიბრიდების გენოტიპები:




- ა) AaBb, Aabb, aaBb, aabb ბ) AaBb, Aabb, aaBB, aabb
გ) AABb, AAbb, aaBb, aabb დ) AABB, AAbb, aaBB, aabb
25. გენური მუტაციის დროს იცვლება:
ა) ქრომოსომაში დნმ-ის მონაკვეთის სტრუქტურა
ბ) აუტოსომური ქრომოსომის სტრუქტურა
გ) ქრომოსომათა რიცხვი
დ) სასქესო ქრომოსომის სტრუქტურა
26. ჩამოთვლილთაგან რომელი გენოტიპის მშობლების შეჯვარებით შეიძლება მივიღოთ სურათზე მოცემული შედეგი?



- ა) AA x Aa ბ) Aa x Aa გ) Aa x aa დ) AA x aa
27. ძვალთა შეერთების რომელი ფორმა გვხვდება ხერხემლის წელისა და გავის განყოფილებაში?
I - მოძრავი II - ნახევრადმოძრავი III - უძრავი
ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ II გ) I და II დ) II და III
28. ძირითადად სად სინთეზდება ეუკარიოტულ უჯრედში რნმ და ცილები?
ა) ორივე ციტოპლაზმაში
ბ) რნმ - ბირთვში, ცილები - ციტოპლაზმაში
გ) რნმ - ციტოპლაზმაში, ცილები - ბირთვში
დ) ორივე ბირთვში
29. ჩამოთვლილთაგან რომელ სისხლძარღვებში მიედინება ვენური სისხლი?
I - ქვედა ღრუ ვენაში II - ფილტვის ვენაში III - ფილტვის არტერიაში
ა) მხოლოდ I ბ) I და II გ) I და III დ) II და III
30. ჩამოთვლილთაგან რომლის ცვლილება იწვევს დაუნის დაავადებას?
ა) X - სასქესო ქრომოსომების რაოდენობის
ბ) Y - სასქესო ქრომოსომის სტრუქტურის
გ) აუტოსომური ქრომოსომების რიცხვის
დ) ნებისმიერი ქრომოსომის სტრუქტურის
31. როგორი თანამიმდევრობით გადაეცემა ბგერითი რხევები ქვემოთ ჩამოთვლილ ყურის ნაწილებს?
I - სასმენი ძვლები II - დაფის აპიკი III - ოვალური სარკმელი
ა) I, II, III ბ) III, II, I გ) II, I, III დ) III, I, II
32. სმენის რეცეპტორებს უშუალოდ აღიზიანებს და ააგზნებს:
ა) ოვალური სარკმლის რხევა ბ) სასმენი ძვლების რხევა
გ) სითხის რხევა ლოკოკინაში დ) დაფის აპიკის რხევა
33. რომელი ფაქტორის მოქმედებით არის გამოწვეული რადიოაქტიური ნარჩენებით ოკეანის დაბინძურება?
I - ბიოტური II - აბიოტური III - ანთროპოგენური
ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ II გ) მხოლოდ III დ) I და III
34. რომელი ნივთიერებების გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნება ამიაკი ადამიანის ორგანიზმში?
I - ცხიმების II - ცილების III - ნახშირწყლების
ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ II გ) I და II დ) II და III
35. მრავალწლიანი მცენარე ფურისულა დაბალ ტემპერატურაზე (20°C) იკეთებს ვარდისფერ, ხოლო მაღალ ტემპერატურაზე (30°C) - თეთრ ყვავილებს. ცვალებადობის რომელი ფორმა იწვევს ამ განსხვავებას?
ა) კომბინაციური ბ) ონტოგენეზური
გ) მუტაციური დ) მოდიფიკაციური
36. ექტოდერმა დასაბამს აძლევს:
ა) თავის ტვინს ბ) ქორდას გ) ღვიძლს დ) ფილტვებს



37. წითელი, სფერულნაყოფიანი პომიდორი შეჯვარეს ყვითელ, სფერულნაყოფიანს. პირველ თაობაში მიღებული შედეგის გამოყენებით განსაზღვრეთ მშობლების გენოტიპები:



- ა) AaBb და aabb    ბ) AaBb და aaBb    გ) AABb და aaBb    დ) AABb და aabb

38. ჩამოთვლილთაგან შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებას არეგულირებს  
 ა) ნათხემი    ბ) შუა ტვინი    გ) მოგრძო ტვინი    დ) შუამდებარე ტვინი

39. ძვლების ზრდას განაპირობებს:

- ა) სისქეში - ძვლისაზრდელა, სიგრძეში - ხრტილოვანი ქსოვილი  
 ბ) სისქეში - ხრტილოვანი ქსოვილი, სიგრძეში - ძვლისაზრდელა  
 გ) სისქეში და სიგრძეში - ძვლისაზრდელა  
 დ) სისქეში და სიგრძეში - ხრტილოვანი ქსოვილი

40. ჩამოთვლილი შენოვილი და გარდაქმნილი ნივთიერებებიდან რომელი გადადის ნაწლავის ხაოს ლიმფურ კაპილარში?

- I - ცილები    II - ცხიმები    III - ნახშირწყლები  
 ა) მხოლოდ I    ბ) მხოლოდ II    გ) I და II    დ) II და III

41. ჩამოთვლილი ბაქტერიებიდან რომელი პროდუცენტი?

- ა) ციანობაქტერია    ბ) რქმჭყავა დუღილის  
 გ) ძმარმჭყავა დუღილის    დ) ნაწლავის ჩხირი

42. ნერვული სისტემის რომელ ნაწილში გამოყოფენ სიმპათიკურ და პარასიმპათიკურ ნერვებს?

- I - ცენტრალურ    II - სომატურ    III - ავტონომიურ  
 ა) მხოლოდ I    ბ) მხოლოდ II    გ) მხოლოდ III    დ) II და III

43. სურათზე გამოსახული ზღვის გოჭების (შავი და თეთრი შეფერილობის, გრძელბალიანი და მოკლებალიანი) შეჯვარების სქემის გამოყენებით განსაზღვრეთ მშობლების გენოტიპები:



- ა) AaBb და aabb    ბ) aaBb და Aabb    გ) AABb და aaBb    დ) AABb და aabb

44. რომელ სისხლძარღვებს აქვთ სარქველები?

- I - არტერიებს    II - ვენებს    III - კაპილარებს  
 ა) მხოლოდ I    ბ) მხოლოდ II    გ) მხოლოდ III    დ) II და III

45. ჩამოთვლილთაგან რომელი პროცესით შედის ცხიმის წვეთი უჯრედში?

- ა) ფაგოციტოზით    ბ) პინოციტოზით    გ) დიფუზიით    დ) ოსმოსით

46. ჩამოთვლილთაგან რომელი ნივთიერება ვერ გამოდის ჯანმრთელი ადამიანის თირკმლის კაპილარული გორგლიდან ფილტრაციის პროცესში?

- ა) გლუკოზა    ბ) შარდოვანა    გ) ცილა    დ) ამინომჟავა

47. ჩამოთვლილთაგან რომელ ორგანიზმებს ახასიათებთ ქემოტროფული კვება?

- ა) ზოგიერთ პროკარიოტს    ბ) ყველა პროკარიოტს  
 გ) ზოგიერთ ეუკარიოტს    დ) პროკარიოტებს და ეუკარიოტებს

48. სად გროვდება გლიკოგენი მარაგის სახით ადამიანის ორგანიზმში?

- I - კუნთებში    II - ელენთაში    III - ღვიძლში  
 ა) მხოლოდ I და II    ბ) მხოლოდ II და III  
 გ) მხოლოდ I და III    დ) I, II და III

49. რომელი ნივთიერების მოლეკულაში შეიძლება წარმოიქმნას წყალბადური ბმა?

- I - ცილების    II - ნუკლეინის მჟავების    III - ნახშირწყლების  
 ა) მხოლოდ I    ბ) მხოლოდ II    გ) I და II    დ) II და III

50. პიგმენტ მელანინის შემცველი უჯრედები, რომლებიც კანის მუქ შეფერილობას განაპირობებს, მოთავსებულია:

- ა) კანქვეშა უჯრედისში    ბ) ეპიდერმისის ღრმა ფენაში  
 გ) დერმის ზედა ფენაში    დ) ეპიდერმისის გარე ფენაში

51. მცენარეში გლუკოზა შეიძლება გარდაიქმნას:

- I - სახამებლად    II - ცელულოზად    III - გლიკოგენად  
 ა) მხოლოდ I    ბ) მხოლოდ II    გ) მხოლოდ III    დ) I და II

52. რას ქმნიან ნეირონების გრძელი მორჩების კონები, რომლებიც ცენტრალური ნერვული სისტემის გარეთ მდებარეობენ?

- I - ნერვულ კვანძებს    II - ნერვებს    III - რეცეპტორებს  
 ა) მხოლოდ I    ბ) მხოლოდ II    გ) I და II    დ) II და III

53. ჩამოთვლილთაგან რომელი ნივთიერება წარმოიქმნება ფოტოსინთეზის სიბნელის ფაზაში?

- ა) გლუკოზა    ბ) ჟანგბადი    გ) ატფ    დ) ნახშირორჟანგი

54. ჩამოთვლილთაგან რომელი პროცესი მიეკუთვნება პლასტიკურ ცვლას?

- ა) გლიკოლიზი    ბ) ჰიდროლიზი    გ) დნმ-ს რეპლიკაცია    დ) დუღილი

55. იპოვეთ შესაბამისობა ჩამოთვლილ ჰორმონებსა და მათ ფუნქციებს შორის. გაითვალისწინეთ, რომ ორგანიზმში ზოგიერთ ფუნქციას შეიძლება რამდენიმე ჰორმონი ასრულებდეს. ჩანერეთ ნიშანი X პასუხების ფურცელზე ცხრილის შესაბამის უჯრაში!

1. თიროქსინი    ა) არეგულირებს სისხლში გლუკოზის რაოდენობას  
 2. ადრენალინი    ბ) არეგულირებს ორგანიზმში ჟანგვით პროცესებს  
 3. სომატოტროპინი    გ) მონაწილეობს ორგანიზმის ზრდის პროცესის რეგულაციაში  
 4. გლუკაგონი    დ) ასუსტებს ნაწლავებში შენთვის პროცესს

	ა	ბ	გ	დ
1				
2				
3				
4				

ინსტრუქცია დავალებებისათვის 56 - 58  
 დავალებაში მოცემულია სავარაუდო პასუხების ჩამონათვალი. მათგან მხოლოდ სამია სწორი. აირჩიეთ პასუხების სწორი ვარიანტები და ცხრილის უჯრებში ჩანერეთ თითოეულის შესაბამისი ნომერი. პასუხები აუცილებლად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე!

56. ჩამოთვლილთაგან რომელი რეფლექსების შესრულებას უზრუნველყოფს ავტონომიური ნერვული სისტემა?

1. მუხლის  
 2. თვალის გუგის  
 3. სისხლძარღვების შევიწროვების  
 4. ლეჭვის  
 5. ნაწლავის პერისტალტიკის  
 6. ენის მოძრაობის  
 7. თითების მოძრაობის

--	--	--

57. ჩამოთვლილთაგან რა საერთო ფუნქციები აქვთ ცხიმებსა და ნახშირწყლებს უჯრედში?

1. ენერგეტიკული  
 2. სატრანსპორტო  
 3. მოძრაობითი  
 4. სამშენებლო  
 5. კატალიზური  
 6. სამარაგო  
 7. სასიგნალო

--	--	--

58. ჩამოთვლილთაგან სად არ ყალიბდება ლეიკოციტები?

1. ღვიძლში  
 2. ძვლის ტვინში  
 3. ლიმფურ კვანძში  
 4. ჭია ნაწლავში  
 5. თირკმელზედა ჯირკვალში  
 6. ელენთაში  
 7. პანკრეასში

--	--	--

ინსტრუქცია დავალებებისათვის 59 - 61  
 მოცემულია ამოცანის პირობა და დასმულია რამდენიმე კითხვა. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე!

59. საინფორმაციო რნმ-ში ამინომჟავა ცისტეინს აკოდირებს ტრიბლეტი უჯრ.

1. განსაზღვრეთ მისი ანტიკოდონი სატრანსპორტო რნმ-ში.  
 2. განსაზღვრეთ ნუკლეოტიდების თანამიმდევრობა დნმ-ს ორივე ჯაჭვში.

60. F2 თაობაში მიღებული ტიტას ჰიბრიდებიდან 42-ს ჰქონდა მენამული, 83 - ნითელი, 39 კი - თეთრი ყვავილები.

1. განსაზღვრეთ F2 თაობაში მიღებულ ჰიბრიდთა გენოტიპები;  
 2. განსაზღვრეთ მშობლების გენოტიპები;  
 3. როგორი გენოტიპის მცენარეების შეჯვარებით მიიღება მხოლოდ ნითელ და თეთრ-ყვავილიანი ჰიბრიდები?

61. ადამიანში თანდაყოლილ ყრუმუნჯობას ორ სხვადასხვა ქრომოსომაში ლოკალიზებული რეცესიული a და b გენები ინვევენ. მეტყველია ადამიანი, თუ მას ორივე - A და B დომინანტი გენი აქვს. (ერთ-ერთი დომინანტი ან ორივე რეცესიული ალელის მფლობელი ყრუმუნჯია)

მეტყველი მამაკაცი, რომელსაც ყრუმუნჯი მშობლები ჰყავს, დაქორწინდა ყრუმუნჯ ქალზე, რომლის გენოტიპია - Aabb. მათ შეეძინათ სამი შვილი, რომელთაგან ერთია მეტყველი.

1. განსაზღვრეთ მამის გენოტიპი;  
 2. წარმოადგინეთ მეტყველი შვილის ყველა შესაძლო გენოტიპი;  
 3. განსაზღვრეთ ყრუმუნჯი შვილების ყველა შესაძლო გენოტიპი.

პასუხები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27
ა		X			X				X	X				X	X						X		X	X			
ბ				X						X		X	X				X		X		X						
გ							X								X								X				
დ	X		X			X	X	X		X							X	X								X	X

	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54
ა									X			X	X							X							X
ბ	X						X			X		X					X	X					X		X		
გ		X	X	X	X	X								X					X	X	X						X
დ								X		X						X								X			

55.

	ა	ბ	გ	დ
1		X		
2	X			X
3			X	
4	X			

56.

2	3	5
---	---	---

57.

1	4	6
---	---	---

58.

1	5	7
---	---	---

59. 1. აცა  
 2. თგ - აცა

60. 1. AA - მენამული, Aa - ნითელი, aa - თეთრი.  
 2. AA და aa  
 3. Aa x aa.

61. 1. AaBb.  
 2. AABb, AaBb.  
 3. AAbb, Aabb, aaBb, aabb.

# კერძო სკოლა „ნირო“ 20 წლისაა



**არიან ადამიანები, რომლებიც უხომ ცხოვრობენ და შრომობენ. თავის გამოჩენა არ უყვართ, პირიქით, ზედმეტ ძეგასა და საკუთარი თავის წარმატების შესახებ საუბარს გაუბრუნებენ, არადა უსაზღვროდ მნიშვნელოვანია მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დღეს ერთ-ერთ მათგანს წარმოგიდგინებთ – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, საქართველოში პირველი ინგლისური კერძო სკოლის დამფუძნებელსა და დირექტორს, ქალბატონ ლამარა ძომიძეს.**

### ქალბატონ ლამარა, გვიამბავთ თქვენი წარმატებებისა და იმ რამდენიმე შესახებ, რაც მის მიღწევაში დაგხმარა?

რთული კითხვაა. ალბათ შრომა, სრულყოფილებისკენ სწრაფვა... წარმატებაზე რა მოგახსენოთ – თავისთავად მოდის თითქოს ყველაფერი. უნდა იშრომო და შედეგი აუცილებლად მოვა, უნდა გიყვარდეს და შეგიყვარებენ, აკეთო სიკეთე და ათმაგად დაგიბრუნდება, პატივი უნდა სცე ნებისმიერი ადამიანის ღირსებას და სამაგიეროს მიიღებ. უნდა გქონდეს ღვთის რიდი და შიში და უფალი იქნება შენთან. რომელი ერთი ჩამოვთვალო. მე ასე მიმაჩნია და ვცდილობ ასე ვიცხოვრო.

### განვიხილოთ წლები საქმიანი ქალის იმიჯი შეგიძლიათ. როგორ გადააწყვეტით იღია და სურვილი რაალოგად?

ძალიან უბრალოდ. კერძო სკოლის შექმნის მეტად „საპატიო“ და შეუფასო მიზეზი მქონდა – ჩემი შვილისათვის, ნინო ქოქიაურისათვის – კლასიკური, წამყვან ევროპულ და ამერიკულ სახელმწიფოებში კარგად აპრობირებული, თანამედროვე განათლება უნდა მიმეცა; გოგონას სკოლის შენობიდან გაუსვლელად, სავალდებულო საგნებთან ერთად, ყოველდღე უნდა ესწავლა ინგლისური ენა და ლიტერატურა, დიპლომატიკისათვის აუცილებელი ფრანგული ენა, სამინაო დავალებად უნდა ჰქონოდა მსოფლიო კლასიკოსების კითხვა, დაუფლებოდა გონების სავარჯიშოს – ჭადრაკს, ჩატარებოდა კლასიკური მუსიკის და ცეკვის გაკვეთილები, ჰქონოდა დახვეწილი მანერები, ჰყოლოდა სკოლის მოძღვარი, რათა აღზრდილიყო ქრისტიანული სულისკვეთებით და ა.შ. მიზანი მტკიცე იყო, მონდომება – არნახული, საქმე – გონივრული, რომ იტყვიან, „ჩავიცვი რკინის ქალამნები“ (არ გაგიკვირდეთ, 1992 წელია!) და იმავე წლის 1 სექტემბერს მომცეს ლიცენზია პირველი კერძო სკოლის გახსნის შესახებ. გამოსავალი ნაპოვნი იყო – ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჩემი მოთხოვნა, ოღონდ არა მხოლოდ საკუ-

თარი გოგონასათვის, არამედ სხვისი შვილებისათვისაც, უნდა განმეორებოდა ინგლისური საკუთარ კერძო სკოლაში.

ათიოდე წლის წინ ბიზნესზე საუბარი მიღებულიც კი არ იყო. ახლაც მეუბნებიან ინგლისური სკოლის საქმიანობა ბიზნესში გავაერთიანო. ბიზნესი საქმეა, წარმატებისათვის კი საქმე უნდა გიყვარდეს. ყველა ადამიანი უნდა მიაგნოს თავის მოწოდებას, მაგრამ აი, აქ არის ერთი პატარა საიდუმლო – თუ შენი საქმე არ გიყვარს, თუ

შენი საქმე თავად არ აკეთე, თუ დღე და ღამე მასზე არ იფიქრე და მისით არ იცხოვრე, წარმატება არ მოვა.

### ვის უმაღლესი თქვენს წარმატებას?

ჩემი ცხოვრების გზა შეიძლება ითქვას, დედაჩემმა – ანა ქურხულმა განსაზღვრა. მან „დაგეგმა“ ჩემი მომავალი, ჩემი ბედი კი, როგორ უჩვეულოდ უნდა მოგეჩვენოთ, უფაღმა დაბადებისთანავე განსაზღვრა. მე უნდა მესწავლა, უნდა მეშრომა, ამიტომ კოლოსალურად ბევრს ვმუშაობდი ბავშვობიდან; მე უნდა მომეპოვებინა პური ჩემი არსობისა; მეცხოვრა ისე, რომ საკუთარი თავის რწმენა არ დამეკარგა. ვფიქრობ, შეეძლო, შევექმენი სამყარო, სადაც ყველაფერს თავად განვაგებ და არავისზე არ ვარ დამოკიდებული.

ბოლოს და ბოლოს სიხარულის „გაჩუქების“ ყველაზე იდეალურ ხერხს მივაგენი. მე მხოლოდ მაშინ ვგრძნობ თავს ბედნიერად, როცა ადამიანების თვალებში გამოწვეული ჩემი ქმედებით სიხარულს ვხედავ და ყველაზე მთავარი და მარტივი რამ – მე უნდა მიყვარდეს, უნდა ვზრუნავდე, უნდა მტკიოდეს სხვისი ტკივილი, უნდა მიხაროდეს სხვისი სიხარული, სხვანაირად ჩემს ცხოვრებას აზრი არ ექნება.

კიდევ ერთი: ჩემ გარშემო ყოველთვის იყვნენ და არიან მოამბე, მოსიყვარულე, უაღრესად კეთილშობილი ადამიანები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ჩემი პიროვნული და პროფესიული თვისებების ჩამოყალიბებაში. არ შემოიძლია არ გავისვენო ჩემი დიდი მასწავლებლები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი ფინანსისტი ბატონი ვასილ ჩანტლაძე, ბუმბერაზი მეცნიერი, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, შესანიშნავი ფინანსისტი, ბატონები ვლადიმერ ლებანიძე, ნიკოლოზ გამრეკელი, ჩემი დიდი მოამბე, ჩემი ცხოვრების გზამკვლევი და უფროსი მეგობარი გივი გამსახურდია. ვინატრებდი, იმდენი სიკეთე და დახმარება გამეწიოს ჩემი მონაფეციისათვის, რაც მათ უანგაროდ გაიღეს ჩემთვის, ჩემი დღევანდელი ყოფის შექმნისათვის. თუკი რაიმე შევექმენი და საზოგადოების პატივისცემა დავიმსახურე ამ პიროვნებების დამსახურებაა. დღემდე ვამაყობ იმით, რომ მათ მონაფედი მიმაჩნია თავი.

### მიმდინარე სასწავლო წელი თქვენი სკოლის საინჟინერო თარიღია, როგორ შეაფასებდით განვლილ ოც წელსს?

ტრაფარეტული პასუხით – ეს ჩვენს სკოლაში სწავლაგავლილი ასეულობით ბავშვის, მათი მშობლების, მასწავლებლების, ჩემი ცხოვრების მთელი 20 გრძელი წელიწადია! ძალიან გთხოვთ, ზემოთქმულს მაღალფარდოვან სიტყვებად ნუ ჩამომართმევთ და ეს დაულალავი შრომით, სიხარულით, ზოგჯერ დიდი ტკივილით და იმედგაცრუებით განვლილი წლებია.

შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნირო“ არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და ითვალისწინებს ეროვნული, ზოგადსაკაცობრიო და ქრისტიანული ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნას; მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მოსწავლეთა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარ უფლებამოსილებებში გაცნობიერების ხელშეწყობას; სკოლა მთლიანად არის ჩართული საქართველოში განათლების რეფორმის განხორციელების პროცესში, იზიარებს საქართველოს განათლების სისტემის სრულყოფის კონცეფციას, მაგრამ აქვს სხვა პრიორიტეტებიც. კერძოდ, უცხო ენების შესწავლის ინდივიდუალური პროგრამები, სრულყოფილად შეისწავლება სამი უცხო ენა – ინგლისური, რუსული და გერმანული; წელს შემუშავდა ტექნიკური საგნების – ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების საკუთარი კონცეფცია: ჩვენი სკოლა დამატებით სთავაზობს მოსწავლეებს: საღვთო სჯულის, ჭადრაკის, კომპიუტერული მეცნიერებების შესწავლას, ფსიქოლოგის და ექიმის მომსახურებას.

გარდა ამისა, მაღალ კლასში წარმოებს ბიზნეს-ინგლისურის შესწავლა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტის მიერ. სკოლა ამზადებს





მოსწავლეებს TOEFL-ისა და SAT-ის ტესტების ჩასაბარებლად; ინგლისურში მაღალი დონის მოსწავლეები ფლობენ B2-ს, Upper-Intermediate-სა და Advanced Level-ს.

სამსახურით დაკავებული მშობლებისათვის სკოლაში დიდი პოპულარობით სარგებლობს გახანგრძლივებული ჯგუფები სალამოს ექვს საათამდე, სათანადო კვებით.

სკოლის ყველაზე დიდ სიმდიდრედ მიიჩნევა სკოლის მოძღვარი მამა პანტელეიმონ ნულაძე. ჯერ რელიგიის ისტორიის, 2000 წლიდან კი საღვთო სჯულის შესწავლა მისი მონადინებაა. იგი სკოლის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, თითქმის ყველა ბავშვის და პედაგოგის სულიერი მამაა.

ნიმანდობლივია და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ სკოლის 20 წლის იუბილე გამოსაშვებ გამოცდებზე 20 ათიანი და შვიდი ოქროს და ვერცხლის მედლით აღნიშნეს ჩვენმა მეტორმეტეკლასელებმა. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ვიამაყებით ისეთი მოსწავლეებით, როგორებიც არიან: ილია ცხვედიანი, ნინო ფუტკარაძე, გიორგი შუბლაძე, ლევან და გიორგი ჯიქიები, მარიამ კვირიკაშვილი, ჯაბა ბურდიაშვილი, ელენე ახალკაცი, დარი და ზურაბ მუჯირიშვილები, გიორგი მიდელაური, ნათია მამაიაშვილი, მარიამ შავერდაშვილი... იმედი მაქვს, ყველა ჩვენი სკოლადამაჯავრებული მოსწავლე არა თუ წარმატებით დაამთავრებს სკოლას, არამედ კვლავაც უპრობლემოდ გახდება საქართველოს და უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტი.

განვლილი წლების შეფასებასა და წარმატებებზე საუბარი, პირველ რიგში, პედაგოგიურ კოლექტივს უკავშირდება. სწორედ მათი დამსახურება ყველა მიღწევა, რომლითაც ვამაყობთ. შესანიშნავი ადამიანები და პროფესიონალები – ასე შემოიძლია დავახასიათო თითოეული მათგანი. კიდევ ერთხელ ვუხდი მათ მაღლობას! ქალბატონები: ქეთევან ღირსიაშვილი-გოგოლაძე, ნაირა ჩოდრიშვილი, დონეზი კოტორაშვილი, სალომე ბინაძე, ვიოლა გოგინაშვილი, ლია ჭავჭავაძე; ბატონები: ავთანდილ ლომსიანიძე, შოთა ფანგანი, გერმანე ფიფია, ნიკა მჭედლიძე, მამა პანტელეიმონ ნულაძე, ნუგზარ ბოჭორიძე, ლაშა დოხნაძე და სხვ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც საქართველოს ნებისმიერ სკოლას დაამშვენებდნენ! სკოლის ხელმძღვანელობა მათ მხარში უდგას – აქვთ მაღალი ხელფასები, დაფასება და სიყვარული. სახელმწიფოსაგანაც მეტი თანადგომა და

ზრუნვა სჭირდებათ. ისინი ყველა იმ სიკეთით უნდა სარგებლობდნენ, როგორც საქართველოს სკოლის პედაგოგები.

**სამომავლო გეგმების შესახებ რას გვიტყვიან?**

ჩვენი პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს უცხოეთის ანალოგიურ სკოლებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას, ყველა მოსწავლის ლექსობებით უზრუნველყოფას, „მომავლის კლასის“ საიუბილეოდ გახსნას, საიუბილეო წელს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას, ტაო-კლარჯეთის მონახულებას, ტელეგადაცემა „ეტალონში“ ბოლო 20 წლის წარმატებული კურსდამთავრებულების მონაწილეობას, სკოლის ელექტრონული ჟურნალის გამართულად ფუნქციონირებას; ზოგიერთ ღონისძიებას სიურპრიზად შევინახავთ.

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და განმტკიცებაში, ადამიანური რესურსების და სასწავლო გეგმების მოწესრიგებასა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა სკოლების ავტორიზაციის პროცესმა. ჩვენმა სკოლამ წარმატებით გაიარა ავტორიზაციის საკმაოდ საპასუხისმგებლო პროცესი. ბრენდირებული სკოლა „ნინო“ აქტიურად მონაწილეობს საყოველთაოდ პოპულარულ პროექტებში – „ეტალონი“, სპორტული ღონისძიებები, სამეცნიერო კონფერენციები, ოლიმპიადები და ა.შ. დღეს ჩვენს სკოლას აქვს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, მდიდარი ბიბლიოთეკა, საკუთარი საინტერესო ვებგვერდი, თანამედროვე ინტერირით კარგად მოწყობილი სასაბავშვო – ბუფეტი, საკუთარი ტრანსპორტი, სამედიცინო მომსახურება, სპორტული დარბაზი და ა.შ. და, რაც მთავარია, 500-ზე მეტი მოსწავლისა და პედაგოგისთვის, მთლიანად სკოლის უსაფრთხოების გარანტიაა მანდატურის სამსახური.

ოცი წელი არც ისე ბევრი დროა, მაგრამ საკმარისია იმისთვის, დარწმუნდეს არჩეული გზის სისწორეში. ვფიქრობ, სკოლა „ნინომ“ ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

ვულოცავ ყველას, ვინც ქმნის ჩვენი სკოლის სახელოვან ისტორიას.

ესაუბრა მარინა ბენიძე



სკოლის მისამართი: თბილისი, ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ, 11<sup>ბ</sup>  
ტელ: 276 05 95; 599 90 60 11, ვებგვერდი: [www.ninoskola.ge](http://www.ninoskola.ge)

# საკადრო პოლიტიკა ზოგადსაბანაო-სისტემის რეფორმირებაში



ასამთ შამუზია  
სსიპ მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №124 საჯარო სკოლის მასწავლებელი; ა.ა.ი.პ. სოსხუშის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის მიმართულების III კურსის დოქტორანტი

XX საუკუნის მეცნიერების უდიდესმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა მოითხოვა განათლების სტრუქტურისა და შინაარსის არსებითი შეცვლა. ცხადია, უპირველესი პრიორიტეტი და აქტუალობა ენიჭება სწავლების მეთოდების, ხერხებისა და ორგანიზაციული ფორმების შემუშავებას, მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს, პირველ რიგში, ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, რადგან იგი წარმოადგენს უმაღლესი განათლების ბაზისს. უარესად მნიშვნელოვანია სკოლებში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ფორმების კვლევა, მეცნიერული ანალიზი, რაც პედაგოგებს შესაძლებლობას აძლევს შეაფასონ საგნის განათლების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.

აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პროცესების განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლებას. საზოგადოების უნარი, გადავიდეს „ინფორმაციულ ხანაში“, დამოკიდებულია მისი წევრების განათლების დონეზე. ეს ეხება საგანმანათლებლო სისტემას – სკოლიდან უნივერსიტეტის ჩათვლით. ყველაზე უფრო თანამედროვე ქვეყნების განათლების სისტემაც კი სრულად არ ასახავს ამ სფეროს დინამიზმს. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ეპოქაში უკვე აქსიომად იქცა, რომ საჭიროა ინვესტიციების ჩადება განათლების სფეროში. ე.წ. „სილიციუმის ველის“ ტექნოლოგიის პრობორციული შემცირება, იქნება სოციალური კრიზისის გაღრმავების მწვევე მარეგულატორი.

გლობალიზაციის, მსოფლიო ეკონომიკისა და კულტურათა ინტეგრაციის პროცესში, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სწრაფმა ტემპმა და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა, ცხადია, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა განათლების სისტემა. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფად ცვალებად ეპოქას სჭირდება უფრო მოქნილი, შემოქმედებითი, რთულ სიტუაციებში სწრაფად გარკვევის, მაღალი პროფესიული და პროფესიული უნარების მქონე ადამიანები. ისინი კი სკოლამ უნდა აღზარდოს. ასეთივე რთული და საპასუხისმგებლო გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს განათლების სფერო,

რომელიც ათეული წლების მანძილზე წარმოადგენდა საბჭოთა ცენტრალიზებული მართვის ფორმაზე დაფუძნებულ განათლების სისტემის ნაწილს.

ბოლო წლებში, საქართველოში განათლებისა და მეცნიერების მდგომარეობა, მისი შემდგომი განვითარების გზები და პერსპექტივა ცხარე მსჯელობასა და კამათს იწვევს. ეს გასაკვირი არ არის, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ნებისმიერი სკოლის მეთოდების სისტემას. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოიხიროს პასუხი შეკითხვაზე: რა არის განათლება – ადამიანის ერთ-ერთი უფლება თუ გლობალური ბაზრის პროდუქტი, რომელიც შეიძლება ყველასთვის ხელმისაწვდომი არც იყოს.

ჩვენი დღევანდელი მსჯელობის საგანი ვერ იქნება სასწავლო პროგრამებისა თუ სახელმძღვანელოების აკადრება, სწავლების მეთოდები და ა.შ., რადგან ნებისმიერი პროგრამა, მეთოდი და შესაძლოა, სასწავლო საათების განაწილებაც კი, უნდა ეფუძნებოდეს ისეთ საგანმანათლებლო კონცეფციას, რომელიც საზოგადოების განვითარების ინტერესით იქნება ნაკარნახევი. ამიტომ, აუცილებელია, პირველ რიგში, გამოვკვეთოთ მიდგომები და სოციალური პრიორიტეტები, რომლებმაც დარგის პოლიტიკა უნდა განსაზღვროს. ამ პრიორიტეტთა შორის ერთ-ერთი უპირველესი პედაგოგის როლისა და სტატუსის ამაღლება-გაძლიერება უნდა იყოს.

საქართველოში მასწავლებლის პროფესიას ნამდვილად სჭირდება პოპულარიზაცია. ვერ ვიტყვით, რომ მისდამი ინტერესი დღეისა. მიზეზად ხშირად მცირე ხელფასი მოჰყავთ, თუმცა დღეს მასწავლებელს, სერტიფიცირებისა და სხვადასხვა გამოცდის ჩაბარების გზით, შემოსავალი შეუძლია საკმაოდ გაზარდოს. ასეა თუ ისე, ვფიქრობთ, მიზეზი მხოლოდ ეს არ უნდა იყოს; მასწავლებლობა რთული და ძალიან ფაქიზი პროფესიაა. პედაგოგი ხომ ერთ-ერთი მთავარი ავტორიტეტია, რომელიც მოზარდს ღირებულებათა მიმართ სწორი, ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში უნდა ეხმარება. მასწავლებლობა – ეს უზარალოდ სამსახური არ არის. თუ ვინმე პედაგოგობას ნახევარი სამუშაო დღის ან ხანგრძლივი არდადეგების გამო ირჩევს, მალევე რწმუნდება ამ

პროფესიის სირთულეში.

შედარებისთვის გვინდა ვთქვათ, რომ როგორც ევროპაში, ასევე მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში მასწავლებელთა შერჩევის და პროფესიული ზრდის საკითხებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ასე მაგალითად, იაპონიაში სკოლაში მუშაობის დანების მოსურნე ადამიანმა უნდა ჩააბაროს სამი ურთულესი გამოცდა – საგნის ცოდნაში, პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და ზოგად განათლებაში. ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობაში მასწავლებელთა პროფესიული ზრდის მრავალსაფეხურიანი სისტემები არსებობს და კვალიფიკაციის ყოველი დონისთვის მინიმალური ხელფასი კანონმდებლობითაა განსაზღვრული. დიდ ბრიტანეთში სისტემა ხუთსაფეხურია, დამწყები პედაგოგის წლიური ხელფასი – 15-20 ათასი გირვანქასტერლინგი, უმაღლესი კვალიფიკაციის, ე.წ. „ლიდერი-მასწავლებლის“ ანაზღაურება კი – 100 ათასი და მეტი გირვანქა სტერლინგი.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ პედაგოგიური კადრების მომზადების, შერჩევისა და პროფესიული ზრდის საკითხების მოგვარების გარეშე, შეუძლებელია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი დაწყებითი და ზოგად განათლების სისტემის შექმნა. მასწავლებელი სკოლის მთავარი ღირსი და მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის მესაყვე; ამიტომ საზოგადოებამ, რომელიც განვითარებაზე ფიქრობს, იგი ღირსეულად უნდა დააფასოს.

მასწავლებლის საქმიანობა მხოლოდ ფორმალური სასწავლო პროცესის წარმართვით არ შემოიფარგლება. პედაგოგიური განვითარების გზაზე მისი მიზანმიმართული მოქმედება უნდა მოხდეს, რომელიც საზოგადოების განვითარების ინტერესით იქნება ნაკარნახევი. ამიტომ, აუცილებელია, პირველ რიგში, გამოვკვეთოთ მიდგომები და სოციალური პრიორიტეტები, რომლებმაც დარგის პოლიტიკა უნდა განსაზღვროს. ამ პრიორიტეტთა შორის ერთ-ერთი უპირველესი პედაგოგის როლისა და სტატუსის ამაღლება-გაძლიერება უნდა იყოს.

საქართველოში მასწავლებლის პროფესიას ნამდვილად სჭირდება პოპულარიზაცია. ვერ ვიტყვით, რომ მისდამი ინტერესი დღეისა. მიზეზად ხშირად მცირე ხელფასი მოჰყავთ, თუმცა დღეს მასწავლებელს, სერტიფიცირებისა და სხვადასხვა გამოცდის ჩაბარების გზით, შემოსავალი შეუძლია საკმაოდ გაზარდოს. ასეა თუ ისე, ვფიქრობთ, მიზეზი მხოლოდ ეს არ უნდა იყოს; მასწავლებლობა რთული და ძალიან ფაქიზი პროფესიაა. პედაგოგი ხომ ერთ-ერთი მთავარი ავტორიტეტია, რომელიც მოზარდს ღირებულებათა მიმართ სწორი, ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში უნდა ეხმარება. მასწავლებლობა – ეს უზარალოდ სამსახური არ არის. თუ ვინმე პედაგოგობას ნახევარი სამუშაო დღის ან ხანგრძლივი არდადეგების გამო ირჩევს, მალევე რწმუნდება ამ

ვად პედაგოგებს უნდა მივანდოთ. ეს პროცესი უფრო თავისუფალი უნდა იყოს, ვიდრე რეგულირებადი, მაგრამ თუ დავინახებთ, რომ რომელიმე სფეროში განსაკუთრებული საჭიროება არსებობს, შეიძლება რეგულირებაზე ვიფიქროთ. ამასთან, კვალიფიკაციის ამაღლებას უნდა დაემატოს გარკვეული ფინანსური და შესაძლოა, სოციალური ნახალისებაც. ერთი რამ ფაქტია: მასწავლებლის პროფესია მაღალ-შემოსავლიანი არც ერთ ქვეყანაში არ არის. მასწავლებელს არსად არ აქვს ისეთი ხელფასი, როგორც, ვთქვათ, მცირე ან საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. მთავარი, რასაც მასწავლებელს სწავლების პროცესი აძლევს, მატერიალური კომპენსაცია არ არის. მასწავლებლის ხელფასის ზრდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული ინტერესია. სწორედ ეს უკანასკნელია ამ ხელფასის დივერსიფიკაცია. არც მეცნიერი და არც მასწავლებელი არ ირჩევს პროფესიას გამდიდრების მოლოდინით.

მოუხედავად იმისა, რომ მასწავლებლობა საპატიო პროფესიაა, ძალიან ცოტა ახალგაზრდა ირჩევს, ამიტომ დამოკიდებული ვართ ძველ კადრებზე, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებაში. მაშასადამე, იმ ღონისძიებებმა, რომლებსაც მომავალში დაგეგმავს სამინისტრო, ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზებას – იქნება ეს ხელფასის მომატება, სერტიფიცირება, კარიერული ზრდა თუ სხვ. საჭიროა უფრო ინტენსიური თანამშრომლობა იმ უნივერსიტეტებთან, რომლებსაც პედაგოგიური ფაკულტეტები აქვთ. ეს უნდა მოხდეს, ძირითადად, მსოფლმხედველობის ცვლილების გზით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც დიდი ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, მთავარ ღირებულებად იქცა არა ის, რაც მასწავლებლის ან მეცნიერის სოციალურ-ეკონომიკურ პაექტში დეცს, არამედ ფული – საარსებო საშუალებების მოპოვება. დღეს ეს არის ხალხის მენტალიტეტის მთავარი წარმართველი. რა თქმა უნდა, ადამიანს საარსებო ყველა პირობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ ზღვარს რომ გადალახავ, შემდეგ რა არის მნიშვნელოვანი – უფრო მეტად გამდიდრდე ან აკეთე საქმე, რომელიც შენთვის მიუღებელია თუ აკეთე საქმე, რომელიც ყველაზე მეტად გაინტერესებს?

XXI საუკუნეში საგანმანათლებლო სისტემებმა ძირითადი ცვლილებები განიცადეს. სწავლისა და სწავლების სტანდარტები და მოლოდინი მნიშვნელოვნად შეიცვალა. გარდა ამისა, XXI საუკუნის რეალობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მასწავლებლებს ან შემსწავლებლებს შორის თანამშრომლობითი კავშირების დამყარებისა და ორივე მხარის მიერ საჭირო ინფორმაციის მოპოვების მზარდ შესაძლებლობებს ქმნის.

და მაინც, რა უნარ-ჩვევებს მოითხოვს XXI საუკუნის გლობალური საზოგადოება და, შესაბამისად, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე განმანათლებელი?

რა თქმა უნდა, XXI საუკუნის მასწავლებლებს მიმართ ჩნდება მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება პედაგოგების ზოგად თვისებებს, პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. თანამედროვე განმანათლებელ-

თათვის საჭირო ზოგად თვისებებს შორის უპირატესად ასახელებენ: ადაპტირების, კომუნიკაციისა და წარმოსახვის უნარებს, სწავლებისადმი ინტერესი, ავტონომიური როლის, მოდელირების, თანამშრომლობის ჩვევებს და რისკისადმი მზაობას. პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების თვალსაზრისით კი, თანამედროვე მასწავლებლებს მოეთხოვებათ XXI საუკუნის სწავლების მოდელის ცოდნა ისევე, როგორც სასწავლო გარემოსა და პროცესის (სტანდარტებისა და შეფასების, სასწავლო გეგმის და ა.შ.) განახლებული კრიტერიუმების ფლობა და პრაქტიკაში გამოყენება.

უკანასკნელ ხანს, სასკოლო რეფორმის პარალელურად, მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა საკითხს, რა არის მთავარი იმისათვის, რომ კარგი მასწავლებელი გახდეს. გამოიკვეთა რამდენიმე მახასიათებელი: განათლება არ ექცეოდა მასწავლებელთა შრომის მთავარ მომხმარებლებს – მოსწავლეებს. თითქმის არავინ დაინტერესებულა მათი აზრით. არადა, მოსწავლეები ხომ ყველაზე მეტ დროს ატარებენ მასწავლებლებთან... აღმოჩნდა, რომ მათ ამ საკითხის თაობაზე უამრავი საინტერესო, ყურადღაღები და მნიშვნელოვანი მოსაზრება აქვთ და შესაძლებელია შეუძლიათ იმ თვისებების ჩამოთვლა, რომლებიც, მათი აზრით, უნდა ჰქონდეს კარგ მასწავლებლებს.

მოსწავლეთა მოსაზრებები, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. მასწავლებლების მიმართ მათ აქვთ როგორც ძალიან უბრალო (გაუღიზიანებელი) მოსწავლეთა, მიმართო სახელმწიფო, ასევე შედარებით ძნელად შესასრულებელი მოთხოვნები (დაესწრონ მოსწავლეთა ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, ესტუმრონ მათ შინ).

მოსწავლეთა მეტი მონაწილეობით სწავლობენ იმ მასწავლებლების ხელმძღვანელობით, რომლებსაც სჯერათ მათი და სიტყვით თუ საქმით გამოხატავენ მოსწავლეთა მიმართ მზრუნველობას, პატივისცემას.

აქვე აღსანიშნავია, რომ მჭიდრო, კეთილგანწყობილი ურთიერთობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საკლასო ოთახში მოსწავლეებს შეუძლია, აკეთონ ის, რაც უნდათ. არც იმას ვგულისხმობთ, რომ მასწავლებელი მოსწავლის მეგობარი გახდეს, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. პედაგოგი კარგად უნდა იცნობდეს მოსწავლეს, სჯეროდეს მისი და უნდა ჩაუხერგოს საკუთარი თავის რწმენა; პატივისცემით ეპყრობოდეს მოსწავლეს, უქმნიდეს ხელსაყრელ პირობებს ცოდნის დემონსტრირებისთვის, თუნდაც ანამ მის გეგმაში გარკვეული ცვლილება შეიტანოს და, რაც მთავარია, მოსწავლე უნდა გრძობდეს, რომ მასწავლებელი მასთან ურთიერთობას აფასებს. კომუნიკაცია უნდა იყოს ყოველდღიური და არ უნდა იგრძობოდეს ფაქირობის ნიშნად.

ამრიგად, მასწავლებლის პროფესიული ცოდნის დონე მნიშვნელოვანესი კომპონენტია მოსწავლის აკადემიური წარმატების მისაღწევად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი; უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მასწავლებლის უნარი, დაამყაროს მოსწავლესთან კარგი ურთიერთობა, რაც, თავის მხრივ, უამრავი მცირე თუ დიდი დეტალისგან შედგება (ხშირად გაღიშება, სახე-

თვალსაზრისი

ლებით მიმართვა, მოსწავლეთა ხასიათის ცოდნა, მათი სურვილების გაგება, მათთვის საკუთარი პროცენტების უკეთ გაცნობა, თანმიმდევრულობა ურთიერთობისას, შეცდომების შიშის დაძლევა და სხვ.). კეთილგანწყობილი ურთიერთობა მასწავლებლისთვის უნდა იყოს იარაღი, რომლითაც მოსწავლეს უკეთ ჩართავს სასწავლო პროცესში და შეუქმნის ხელსაყრელ პირობებს როგორც პიროვნული, ისე შემოქმედებითი ზრდისთვის.

მასწავლებლის სტატუსის, პროფესიული მომზადებისა და ხელფასის საკითხი მუდმივი განსჯის თემაა საქართველოში. რთულია, ერთნაირად შეუწყო ხელი 76 ათასი მასწავლებლის საჭიროებებსა და ინტერესებს. ბუნებრივია კითხვაც: „ნეტავ, რა ხდება სხვაგან, სადაც მასწავლებლები უკეთეს პირობებში მუშაობენ?“ მართლაც საინტერესოა, რა ფაქტორები ახდენს გავლენას იმაზე, რომ იაპონელი, სინგაპურელი და სამხრეთ კორეელი მოსწავლეები უმაღლეს შედეგებს აჩვენებენ საერთაშორისო ტესტირებების დროს? ცხადია, შეუძლებელია და გაუმართლებელიც უცხო ქვეყნების გამოცდილების ბრმად მიღება, მაგრამ უდავოდ მნიშვნელოვანია, რა გამოცდილება და პრაქტიკა არსებობს წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების მქონე ქვეყნებში.

განათლების სისტემის სრულყოფა, როგორც წესი, ყველა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნის სახელმწიფო პრიორიტეტებს შორისაა. მიუხედავად ყოველწლიურად მზარდი დანახარჯებისა განათლებაზე და განათლების სისტემის რეფორმირების მრავალმხრივი და მრავალჯერადი მცდელობებისა, მსოფლიოს მასშტაბით, ზოგადად განათლებული სკოლების მხოლოდ მცირე ნაწილია გააუმჯობესა სწავლების ხარისხი. მაგალითად, საერთაშორისო შეფასებების თანახმად, აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის სკოლის მოსწავლეების 1%-ზე ნაკლებმა შეძლო გადაეღება სინგაპურელი მოსწავლეების მიერ გაკეთებული ტესტის - PISA-ს (სტუდენტების შეფასების საერთაშორისო პროგრამა) შედეგების საშუალო მაჩვენებელი. პირველი შეფასებით, აკადემიურ მოსწავლეებში ქვეყნებს შორის ასეთი განსხვავება განათლების დაფინანსების სხვაობით აიხსნება, მაგრამ ფაქტია, რომ სინგაპური, მსოფლიოში საშუალო განათლების ერთ-ერთი საუკეთესო სისტემის მქონე ქვეყანა, განათლებაზე უფრო ნაკლებ რესურსს ხარჯავს, ვიდრე სხვა ნამყვანი ქვეყნები.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემები ხშირად რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. როგორც კვლევამ და საერთაშორისო შეფასებებმა

ცხადყო, მიუხედავად შესწავლილი ქვეყნების განსხვავებული ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული კონტექსტებისა, საუკეთესო სისტემების წარმატებას სამი ძირითადი პრინციპი განაპირობებს: 1. წარმატებული და მოტივირებული სტუდენტების მასწავლებლის პროფესიული დაინტერესება; 2. მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; 3. ისეთი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, სადაც მასწავლებელს საშუალება ექნება, მოსწავლეებს სწავლისათვის საუკეთესო სასწავლო გარემო შექმნას. მნიშვნელოვანია, რომ სამივე ფაქტორი მასწავლებელს უკავშირდება.

რიგ ქვეყნებში, სადაც მოსწავლეები კარგი აკადემიური მოსწავლეთი გამოირჩევიან, სკოლები საუკეთესო მასწავლებლებს ქირაობენ და მათ, სანაყის ეტაპზევე, კარგ (მაგრამ არა ძალიან მაღალ) ხელფასს უნიშნავენ. მოტივირებული, დამწყები მასწავლებლებისათვის ნახალისების მსგავსი სისტემის შექმნა ხელს უწყობს სტატუსის ამაღლებას. ეს კი სკოლას საშუალებას აძლევს, უკეთესი მასწავლებლები მოიზიდოს მომავალში.

სამხრეთ კორეაში ნამყვანი და წარმატებული სკოლები, მასწავლებლის ვაკანსიაზე, საშუალო ინვესტიციები უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა საუკეთესო 5%-ს, ფინეთში - საუკეთესო 10%-ს, ხოლო სინგაპურსა და ჰონგ-კონგში - 30%-ს.

სინგაპურში უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებულს არ ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ გაიაროს პროფესიული მომზადების ტრენინგი მასწავლებელთათვის. ცენტრალიზებულ დონეზე ხდება თითოეული კანდიდატის ტესტირება და კომპეტენციების შეფასება. საბოლოოდ, სახელმწიფოს მიერ შერჩეულ კანდიდატებს საშუალება ეძლევათ, გაიარონ ფუნდამენტური ტრენინგი მასწავლებლობისთვის მოსამზადებლად. სინგაპურის მსგავსად, ფინეთშიც, სადაც მმართველობა მკვეთრად დეცენტრალიზებულია, მასწავლებლობის კანდიდატების შერჩევა კომპლექსური შეფასების სისტემით ხდება.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სინგაპურსა და სამხრეთ კორეაში მასწავლებლების ზედმინერეთი სელექცია მხოლოდ დაწყებითი კლასებისათვის ხდება. რაც შეეხება საშუალო საფეხურის პედაგოგებს, შერჩევის პრინციპი რადიკალურად განსხვავებულია. ყველა კანდიდატს აქვს საშუალება, გაიაროს პროფესიული მომზადების ტრენინგი, თუმცა კონკურსი მასწავლებლის ადგილის მოსაპოვებლად ძალიან მაღალია. შესაბამისად, საუკეთესო მასწავლებლებსა და მათს შორის არსებობს განსხვავება არ არის მიმზადდელი და მათი საუკეთესო ნაწილი ცდილობს, საშუალო ადგილი

დანყვით კლასებში მოიპოვოს. სხვათა შორის, ეს განსხვავება არა მხოლოდ სტატუსზე, არამედ ხელფასზეც აისახება.

კარგ ხელფასს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როგორც საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, მასწავლებლები იშვიათად აღიარებენ, რომ მათთვის ხელფასი გადამწყვეტია. ისინი ხშირად იმეორებენ: „ჩვენ, მასწავლებლები, ხელფასისთვის არ ვმუშაობთ.“ თუმცა ყველა იმ სისტემაში, სადაც სკოლები წარმატებულია, მასწავლებლებს მაღალი ანაზღაურება აქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნებში, სადაც მასწავლებლის ხელფასი საბაზრო საშუალო ხელფასის ნიშნულს სცდება (მაგალითად: ესპანეთში, გერმანიაში და შვეიცარიაში, სადაც მასწავლებლის სასტარტო ხელფასი ევროპაში ყველაზე მაღალია), მასწავლებელთა პროდუქტიულობა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწავლეთა არ იზრდება.

აღნიშნულ ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მასწავლებლების საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საზოგადოების მხრიდან მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის პოზიტიური შეფასება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პოტენციური მასწავლებლის მოტივირებისთვის.

იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სწავლა, უნდა გაუმჯობესდეს სწავლება.


იმისათვის, რომ მოსწავლემ უკეთ ისწავლოს, აუცილებელია, მასწავლებელმა ასწავლოს უკეთ. სწავლა/სწავლება მასწავლებლისა და მოსწავლის სწორ და ეფექტურ კომუნიკაციას ეფუძნება. საუკეთესო სისტემებში ცხადად არის გარკვეული, რას მოიცავს სწორად და ეფექტურად წარმართული სასწავლო პროცესი.

რიგ ქვეყნებში დამწყები მასწავლებლები საფუძვლიან პრაქტიკულ მომზადებას გადიან. აშშ-ში, ბოსტონში დამწყები სპეციალისტები, რომელთაც უკვე აქვთ თეორიული ცოდნა, ერთ სასწავლო წელს ატარებენ სკოლაში: 4 დღე ეთმობა პრაქტიკულ სწავლებას, ხოლო 1 დღე - აკადემიურ კურსებზე დასწრებას. მეორე სასწავლო წლის განმავლობაში თითოეულ მასწავლებელს ჰყავს მენტორი, რომელიც ხელს უწყობს მას არა მხოლოდ საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებაში, არამედ საკლასო მუშაობის ეფექტურად მართვასა და ინოვაციური სასწავლო სტრატეგიების გამოყენებაში.

ინგლისში, სადაც მასწავლებელთა პროფესიული მომზადებას კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაციები ახორციელებენ, სკოლების ტრენინგისა და განვითარების ეროვნული სააგენტო აკონტროლებს, რომ დამწყები მასწავლებლის მოსამზადებელი კურსები პედაგოგიური პრაქტიკის დიდ სეგმენტს მოიცავდეს.

ახალი ნიგნაი

საინტერესო ნაშრომი კელაბოგებზე



მაღლიერებით აღსავსე სამაგიდო ნიგნი, - ასე შეფასა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებრივმა ყურნალისტის, მთარგმნელისა და პედაგოგის, ნანა ახალაძის პუბლიცისტური ნარკვევების კრებული - „არ დაეკარგვის ამაგი“, რომელიც განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში დასაქმე-

ბულ იმ ამაგადარ პედაგოგებს, ხელოვანებსა და სპორტის მუშაკებს ეძღვნება, რომლებიც წლების მანძილზე მამულიშვილური შემართებით, კეთილსინდისიერად იღვწოდნენ და იღვწიან ქვეყნის მომავლის სამსახურში.

ნანა ახალაძეს რეგიონის საზოგადოება იცნობს, როგორც განათლებულ, ინტელექტუალურ, შემოქმედის ნიჭით დაჯილდოებულ ქალბატონს, ახალგაზრდობის საუკეთესო აღმზრდელს და გასაკვირი არაა, რომ ეს ყველაფერი მის საკმაოდ სქელტანიან (450გვ.) ნაშრომში აისახა. მას კარგად აქვს გათავისებული ის მეტად საპასუხისმგებლო საქმე, რასაც შეეჭიდა და ფიქრობ, შესანიშნავად გაართვა თავი. ამ ნიგნით მან საზოგადოების წინაშე წარმოაჩინა 170-ზე მეტი გამორჩეული წარმატების ღვაწლმოსილი მეცნიერ-პედაგოგი და სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებებში მოღვაწე ადამიანები.

ნანა ახალაძე დაიბადა ქალაქ ბათუმში, დაბა ქედის საშუალო სკოლის მედალოსანმა კურსდამთავრებულმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიამურა და წარმატებით დაამთავრა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. იგი ოთხი ათეული წელია იღვწის განათლების სფეროში. პროფესიული საქმიანობა საშუალო სკოლაში მასწავლებლობით დაიწყო. 12 წელი აჭარის განათლების სამინისტროში მუშაობდა ჯერ მეთოდისტად, შემდგომში გაზეთის რედაქტორად. პარალელურად, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ასწავლიდა ფრანგულ ენასა და ლიტერატურას, 1995- 2009 წლებში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს რომანისტიკის სპეციალობაზე.

ნიგნი გამართული, კარგი ქართულითაა დაწერილი, ნიგნისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ მასში მოცემულია აჭარაში განათლების განვითარების მოკლე ისტორია და დღევანდელი სახე, იგი მდიდარია ასევე გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამებით სახალხო განათლებაზე, აღზრდაზე, ცალკეულ მეცნიერებებზე, რომლებიც მიმოხეულია პიროვნებათა პორტრეტების ქვემოთ.

ამ ნაშრომის თამამად შეგვიძლია სამაგიდო ნიგნი ვუწოდოთ, რადგან მას სხვა ღირებულებებიც გააჩნია, ესაა იდეებისა და მოვლენების სწორი ხედვა, ანალიზი და დასკვნები, ენა, სტილი და ბოლოს ხატოვანება, რაც ავტორის მწერლურ ნიჭზე მეტყველებს. ავტორი წინასიტყვიანობაში წერს, რომ ამ გამოცემას არ აქვს პრეტენზია სრულ სურათზე, ამიტომ იგი აგრძელებს მუშაობას მეორე ნაწილის მოსამზადებლად.

ნანა ახალაძე, როგორც ნიჭიერი მთარგმნელი და ჟურნალისტი, ცალკე საუბრის თემაა, იგი მრავალი წელია თარგმნის ფრანგ კლასიკოსთა ნაწარმოებებს, დღეისთვის 4 კრებულის ავტორია, მისი თარგმანები იბეჭდება ჟურნალებში: „ჭოროხი“, „საუნჯე“,

დეს (სულ ცოტა, 24 კვირა წელიწადში). ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა, ლიცენზირებულ ორგანიზაციას დაფინანსება შეუმცირონ ან, უარეს შემთხვევაში, სრულიად შეუწყვიტონ.

ფინეთში თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი, სადაც განათლების მიმართულების სწავლება ხორციელდება, სკოლებთან თანამშრომლობს. სტუდენტებს სკოლებში შეუძლიათ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება. მათი სწავლა/სწავლების პროცესს ზედამხედველობას უნივერსიტეტის პროფესორები, ხოლო შექმნილი პრაქტიკის საუკეთესო მაგალითებს უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაშიც ასახავენ.

ზოგადად, მასწავლებლები ინდივიდუალური მუშაობის მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას, თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლება კი ბევრად უკეთეს შედეგებს გვაძლევს. იაპონიასა და ფინეთში, სადაც მოსწავლეების ტესტების მაჩვენებლები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მასწავლებლები ერთად გეგმავენ სასწავლო პროცესს, აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, კრიტიკულ ანალიზს უკეთებენ ერთმანეთის პროფესიულ საქმიანობას.

იაპონიაში საუკეთესო საკლასო გამოცდილების, მეთოდებისა და გეგმების ჩაწერა/დაარქივება მიმდინარეობს. შესაბამისად, სკოლის ნიაღში საუკეთესო მასწავლებლების მიერ შემუშავებული საუკეთესო გაკვეთილები და სტრატეგიები მეგვიდრეობად რჩება სკოლას.

აშშ-ში, ბოსტონში მასწავლებლები ერთად გეგმავენ სასწავლო პროცესს, სკოლის შიდა შეფასების სისტემის რეკომენდაციების საფუძველზე. ასეთი შეხვედრების მიზანია სკოლის მასწავლებლების მიერ გამოყენებული მეთოდებისა და სტრატეგიების შედარება, აგრეთვე იმის დადგენა, თუ რომელი მეთოდი ან მიდგომა ოპტიმალური კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის.

პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობა მასწავლებლებს რიგი მიზეზების გამო უჭირთ, ხოლო სკოლასა და საკლასო ოთახში ურთიერთთანამშრომლობით პროფესიული ზრდის საშუალება მათ მუდმივად აქვთ.

როგორც საერთაშორისო გამოცდილებიდან ჩანს, მასწავლებლის როლი გადამწყვეტია სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე და შეუძლებელია, განათლების სისტემა იყოს ძლიერი და ფუნქციური პროფესიონალი მასწავლებლების გარეშე. ერთ-ერთმა კორეელმა განათლების სპეციალისტმა მართებულად აღნიშნა: „ქვეყნის განათლების სისტემა ვერასდროს იქნება უკეთესი, ვიდრე ამ ქვეყნის მასწავლებელია“.

„ლიტერატურული პალიტრა“, ჩვენი მწერლობა; იყო სხვადასხვა გაზეთის რედაქტორი და დამფუძნებელი; აქვეყნებს სტატიებს აქტუალურ თემებზეც.

ქალბატონი ნანა აჭარის ინტელიგენციის ღირსეული წევრია. მრავალ ჯილდოთაგან ყველაზე მნიშვნელოვანად საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის ვერცხლის მედალი - „პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ - მიაჩნია.

სალამოზე სიტყვით გამოვიდნენ რეგიონში მოღვაწე მეცნიერების, განათლებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვანო პაპუნძიძე, პროფესორები: შუშანა ფუტყარაძე, იური ბიბილიევილი, რომან ზოსიძე, აკაკი ზოიძე, გულიკო ქათამაძე, მწერლები: დავით თედორაძე, ემენ დავითაძე, ცისანა ანთაძე, ანა დუნდუა; პედაგოგები: ნინო რუსეიშვილი, ლევან ნატარაძე, ლუდმილა ზაიცივა, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნატო ჭყო-ნია.

დასასრულ ნიგნის ავტორმა მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მისი მოკრძალებული შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისთვის.

ნაზიზროლა ძორიძე, რედაქტორი

ინფორმაცია

დასუფთავების აქცია დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით ქალაქის დასუფთავების აქცია მოეწყო. ღონისძიებაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლისა და დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის VIII, IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

სუფთა გარემო ხომ ჯანსაღი ცხოვრების წესის მთავარი ატრიბუტია. ცინებთან დაკავშირებით გზებზე დიდი რაოდენობით ქვიშა დაიყარა, რამაც გამოდარების შემდეგ მტვრის წარმოქმნა გამოიწვია, აღნიშნა შპს „სერვისი - 2007“-ის დირექტორმა ელიზბარ ალუღაშვილმა და დასძინა: ჩვენი რესურსით ქალაქის სრულ დასუფთავებას ვერ შევძლებდით და უდიდესი მადლიერება გამოხატა პირადად ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივისთვის და სოფელ ხორნაბუჯისა და დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის დირექტორების, პედაგოგებისა და მალაი კლასის მოსწავლეების მიმართ.

სუფთა გარემო ხომ ჯანსაღი ცხოვრების წესის მთავარი ატრიბუტია.

გულთბილი შეხვედრა უნივერსიტეტელთან

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი რაიონის მკვიდრ პირველი ქართული უნივერსიტეტის სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებულებს მასპინძლობდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გულთბილი შეხვედრა დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნივნილოვან თა რაიონული ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის და მისი მოადგილის ნანა ჭიჭინაძის ინიციატივით და ძალისხმევით ჩატარდა.

შეხვედრას სოფელ ხორნაბუჯის, დედოფლისწყაროს პირველი და მეორე საჯარო სკოლების მალაი კლასის მოსწავლეები, დედოფლისწყაროს ცნობილი სახეები და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვების შემდეგ თითოეულმა კურსდამთავრებულმა უნივერსიტეტში გატარებული წლები და სტუდენტობასთან დაკავშირებული საინტერესო დეტალები გაიხსენა. მათ ისაუბრეს განათლების მნივნილობასა და უნივერსიტეტის როლზე. ყველაზე უხუცესმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ნინო ბოსტოლანაშვილმა ისაუბრა ნიკო კეცხოველის რექტორობის პერიოდზე, საინტერესო იყო ცაცა ბენაშვილის, ნანული ნატროშვილის, თებრო აფციაურის, ნანა ლაბიაშვილის, ეგული ყოჩიაშვილის, ნათელა ბილიაშვილის, მანანა ყატაშვილის, ეთერ ფიცხელაურის და სხვების გამოსვლები.

საიუბილეო საღამოს დიდ ხიბლს მატებდა დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლის მალვინა ისმაილოვას მიერ ვოლინოზე შესრულებული ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

კურსდამთავრებულებმა უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემის ლიტერატურულ კრებულში „Rettulit ლიტერატურული დაბრუნება“, თავისუფალ გვერდებზე, ავტოგრაფი დატოვეს.

ღონისძიების სპონსორები იყვნენ ინდემწარმე ტატიანა ბულუღაშვილი და შპს „სალბუნი ფარმას“ დირექტორი ციცო ლათიაშვილი.

საიუბილეო საღამოს დასრულების შემდეგ მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაუღმა სტუმრებს დაათვალიერებინა 24 წლის თვითნასწავლი მხატვრის ბელა ლობჯანიძის პირველი პერსონალური გამოფენა.

მარიკა ჰოპიაშვილი

საქველმოქმედო კონცერტი „მონატრეხული ჰანგები“



დაბა ჩაქვის №1 საჯარო სკოლაში უკვე მეხუთე საქველმოქმედო აქცია შედგა, რომელსაც სკოლის სამოქალაქო განთლების კლუბი

„თავისუფლება“ ახორციელებს. ეს ღონისძიება ერთგვარ ტრადიციად იქცა, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა, მახინჯაურის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლსა და მოხუცებულთა თავშესაფარის მობინადრეთა დახმარებას ისახავს მიზნად.

კლუბი 2011 წელს შეიქმნა ისტორია-სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ლელა თოთლაძის ხელმძღვანელობით და ამ დღიდან მრავალ საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებს, სკოლის დირექტორის, ტარიელ ქათამაძის მხარდაჭერით.

გასულ კვირას კლუბის წევრებმა სკოლის სააქტო დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი გამართეს - „მონატრეხული ჰანგები“, რომელშიც მეხუთე კლასის მოსწავლეები და სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ოჰოი ნანა“ მოცეკვავეები მონაწილეობდნენ. კონცერტზე კლუბის წევრებმა, უფროსკლასელებთან ერთად, მათი მშობლებიც მოიწვიეს.

საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა მათივე სკოლის მოსწავლეებს - მარი და მირანდა მახარაძეებს გადასცეს, რომლებსაც რამდენიმე დღის წინ სახლი დაენვთა და ღია ცის ქვეშ დარჩნენ. მარის და მირანდას მშობლებმა, კონცერტის დასრულების შემდეგ,

მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექციას და მოსწავლეებს დახმარებისა და თანადგომისათვის.

მანია შერძაძე ჩაქვის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი



ჰაინრიხ ჰაინე - გენიალური გერმანელი პოეტი, სიყვარულის, თავისუფლების, სიმართლის უზადლო მომდერალი, რომლის პოეზია აფრქვევს „იის სურნელს“ და ბრწყინავს „მთვარის შუქით“. სწორედ ამ საოცარი შუქით და სურნელით იყო შემოკობილი ჰაინეს პოეზიისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც 17 თებერვალს საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაიმართა.

მობზაურობა ჰაინეს სამყაროში

აზიარეს ქართველი მკითხველი. ჰაინეს გავლენით ილიამ რამდენიმე საუკეთესო ნაწარმოებიც შექმნა.

ჰაინე მწუხარებით აღნიშნავდა: „დედამინა შუაზე გაიბზარა და ბზარმა ჩემს გულზე გაიარა“. ზოგადსაკაცობრიო იდეებით ამაღლებულს, ადამიანთა მოდგმის ქომაგს, სიყვარულის, სილამაზისა და მშვენიერების მოტრფიალე პოეტს გულთან მიაქვს მთელი ქვეყნიერების სატიკივარი.

სამშობლოსა და მშობელ დედას იძულებით მოშორებული პოეტის ტანჯვა და დარდი შთამბეჭდავად გამოხატეს მოსწავლეებმა პოეტის ლექსებით.

პედაგოგებმა: ლალი ლაშმა, დარეჯან ჯობაძემ, ნანი ენუქიძემ, ხათუნა თურმანიძემ, მალხაზ იაკობიძემ და სხვებმა შეასრულეს ჰაინეს ტექსტზე შექმნილი სიმღერა „ტურფავ, ტურფავ“; ჰაინეს საყოველთაოდ ცნობილი „ლორელი“ დიდი შთაბოძებით წაიკითხეს გერმანულად და ქართული თარგმანით პედაგოგმა გაგა გულიაშვილმა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის აქტიურმა წევრმა მიშიკო კაპაზაძემ; მუსიკალური სტუდიის მოსწავლეები (სტუდიის გამგე - მიაიერაძე) ბრწყინვალე ფონს უქმნიდნენ ნორჩ დეკლამატორებს: ვანო ხარაიშვილს, ნინო იაშვილს, ბესო

სამხარაძეს, აკაკი ნადირაძეს, გიორგი ცუხიშვილს, ჭაბუკი გოგოლაძეს, თეა ქველიძეს, ნინო გენაძეს და სხვ.

დიდი ოსტატობით წარმოადგინეს მოსწავლეებმა კახა სამყურაშვილის თარგმანები და მაყურებელთა განსაკუთრებული მონონება დაიმსახურეს.

მთელი დარბაზი გრძნობდა, რომ ჰაინეს პოეზია მხოლოდ ლამაზი,

კაშკაშა ხელოვნება არაა, ამავე დროს, ესაა მყარი პოზიცია, ბრძოლა, მოძრაობა უკეთესი სამყაროსთვის.

კიდევ ერთხელ დადასტურდა ჰაინეს სიტყვები „უდიდესი განმკურნებელი საშუალება პოლიტიკური მოძრაობა და ხელოვნებაა“.

ნუნუ გომოლიძე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი





წიგნის  
თარო

მიმდინარეობს

ხელმოწერა



# კლასიკური პოეზია



სამი  
ტომის  
ფასი  
15 ლარი

## რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი  
ცალის  
ფასი  
6.5 ლარი

- 1. ცისფერი ბაღვინები - დეზა
- 2. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
- 3. მწყობრთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
- 4. ადელ ბლუმ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
- 5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
- 6. მინიები - ველასკესი
- 7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
- 8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
- 9. უძლავი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
- 10. საძანელა - რენუარი
- 11. საპვირაო ბასეირნება, ბრან-შატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

## თემატური კლასიკები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

- 1. ძართული ანბანი
- 2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
- 3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
- 4. ფერები
- 5. ფორმები
- 6. გარეული ცხოველები
- 7. გარეული ფრინველები
- 8. პოეზიები
- 9. რიცხვები
- 10. სილ-პოსტნული
- 11. შინაური ცხოველები
- 12. ტანსაცმელი
- 13. ჰიგიენის ნივთები
- 14. საოჯახო ნივთები
- 15. ტრანსპორტი
- 16. წყლის ბინადრები
- 17. ინგლისური ანბანი
- 18. რუსული ანბანი
- 19. ჩემი საძარტველო

ერთი  
ცალის  
ფასი  
2.5 ლარი

## თემატური კლასიკები მატალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
- 2. გარეული ფრინველები საძარტველოში
- 3. გარეული ცხოველები საძარტველოში
- 4. მწერები
- 5. ძართული ხალხური საკრავები
- 6. ძველმედიკალი საძარტველოში
- 7. საძარტველო მცენარეები
- 8. ადამიანის აგებულება
- 9. რეპტილიები და დინოზავრები
- 10. ნივთები - სიტყვების წყარო
- 11. ქველი რეზი
- 12. მსოფლიოს დროები
- 13. ზღვის დინებები
- 14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
- 15. საგზაროს წარმოშობა
- 16. ძარტული მემორის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
- 17. მსოფლიოს შვიდი სოცრება

ერთი  
ცალის  
ფასი  
3 ლარი

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

### მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
- 2. გიორგი ლეონიძე
- 3. ირაკლი აბაშიძე
- 4. ნოდარ დუმბაძე
- 5. მირზა ბელოუზანი
- 6. აკაკი ბაძრაძე
- 7. ვასილ ბარნოვი
- 8. პაულუ იაშვილი
- 9. სულხან-საბა ორბელიანი
- 10. იოსებ გრიგაშვილი
- 11. პულიკარე კაკაბაძე
- 12. გურამ რჩეულიშვილი
- 13. იაკოვ სუცესი
- 14. იონა საბანიძე
- 15. დავით გურამიშვილი
- 16. გენიკი
- 17. რევაზ ინანიშვილი
- 18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
- 19. აკაკი წერეთელი
- 20. რუსთაველი
- 21. თეიმურაზ I
- 22. ვახტანგ VI
- 23. გიორგი მერჯული
- 24. გრიგოლ ორბელიანი
- 25. დავით აღმაშენებელი
- 26. გურამ ასათიანი
- 27. გრიგოლ როგაძიძე

ერთი  
ცალის  
ფასი  
4 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

თითო ტომის ფასი - 12 ლარი



„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის დთვისმომოხლის ტაპარი
• ემილ ზოლა - ქალთა გადნეობა
• ალექსანდრე დიუმა - კავკასია
• ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
• ჰენრი რაიფორ ჰაბარდი - მონტესუმას ასული
• სტენდალი - წითელი და შავი
• ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
• ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
• ერის მარია რემარკი - საში მემოზარი
• შოდელო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
• ალექსანდრე ვუშკინი - მოთხრობები
• შტაფან ცვაიგი - მოუთმენლოზა გულისა
• მინ რიდი - კვარტარონი
• ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენშტაინი
• თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
• ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები

- მარბარეტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
• ალბერ კოენი - დედაჩემი
• ჯონ გოლდსმორთი - რჩეული მოთხრობები
• პროსპერ მერიმე - ილელი ვენერა
• უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
• ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ
• ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი
• გუსტავ ფლოპერი - მაღამ გოვარი
• მონრე დე ბალზაკი - მამა გორიო




კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასსაძე
11 ლარი
9 ლარი




ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

გამოცემლობა „ლიოგენსა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
45 ლარი
35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
30 ლარი
26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
რენესანსიდან დღემდე
40 ლარი
30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორთომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნახვლად 11 ლარისა
9 ლარი

- ◆ მსოფლიოს 7 საოცრება
◆ ავტომობილი
◆ ამინდი
◆ დიდი აღმოჩენები
◆ ხალხთა დიდი გადასახლება
◆ გამომგონებები
◆ განძის ძიება
◆ გლადიატორები
◆ ჩვენი დედამინა
◆ დრო და კალენდარი
◆ კველი ეგვიპტე
◆ ევროპა
◆ ვიკინგები
◆ კოშკები
◆ კრიმინალისტიკა
◆ გათემბეტიკა
◆ მცენიერებები
◆ მსოფლიოს რელიგიები
◆ ქველი რთვი
◆ ქველი საბარქმეთი
◆ საგურბი
◆ უღაბნი
◆ უკველესი ადამიანები
◆ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
◆ ფიზიკა
◆ ჩაქირული ქალაქები
◆ ქიბია
◆ მემოზრები
◆ ოლიმპიური თამაზები
◆ მთები
◆ ჯანსაღი კვება
◆ არქიტექტურა

ქართული მწერლები

- ◆ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, - 11 ლარი
◆ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი - 11 ლარი
◆ ლევან გომთუზ (7-ტომეული), I-II ტომი - 16 ლარი
◆ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი - 15 ლარი
◆ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
◆ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
◆ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
◆ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი - 12 ლარი
◆ ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი - 12 ლარი
◆ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი - 10 ლარი
◆ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი - 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge

E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >